



**კავკასიის უნივერსიტეტის**  
**სტუდენტური თვითმმართველობის**  
**წესდება**

**თავი I**

**ზოგადი დებულებები**

**მუხლი 1.**

1. კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა (შემდგომში „სტუდენტური თვითმმართველობა“) არის კავკასიის უნივერსიტეტის შემადგენლობაში არსებული სტუდენტთა წარმომადგენლობითი ორგანო დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეულებითა და მართვის ორგანოებით საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით 2 წლის ვადით არჩეული წევრებისაგან, რომლებიც ახორციელებენ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, კავკასიის უნივერსიტეტის დებულებითა და წინამდებარე წესდებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს, როგორც უნივერსიტეტის შიგნით, ისე მის გარეთ.

2. სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა არ წარმოადგენს იურიდიულ პირს.

**მუხლი 2.**

სტუდენტური თვითმმართველობა უფლებამოსილების განხორციელებისას დამოუკიდებელია და მის საქმიანობაში ჩარევა ან მასზე რაიმე სახის ზემოქმედების მოხდენა დაუშვებელია, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

**მუხლი 3.**

სტუდენტური თვითმმართველობის ადგილსამყოფელია საქართველო, თბილისი, პ.სააკაძის ქუჩა 1 .

#### **მუხლი 4.**

სტუდენტურ თვითმმართველობას, კავკასიის უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, შესაძლოა ჰქონდეს საკუთარი ბეჭედი, შტამპი, საანგარიშგებო, სავალუტო და სხვა ანგარიშები საბანკო დაწესებულებებში და დებულებით გათვალისწინებული სხვა ატრიბუტიკა.

#### **მუხლი 5.**

წინამდებარე დებულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) უნივერსიტეტი - კავკასიის უნივერსიტეტი;

ბ) სტუდენტი - პირი, რომელიც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და უმაღლესი საგანმანათლებლო სასწავლებლის წესდებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან დოქტურანტურის პროგრამის გასავლელად;

გ) სტუდენტური თვითმმართველობა - კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტების წარმომადგენლობითი ორგანო;

დ) უნივერსიტეტისა და სკოლების ადმინისტრაცია - კავკასიის უნივერსიტეტის და მისი სკოლების (კავკასიის ბიზნესის სკოლა, კავკასიის სამართლის სკოლა, კავკასიის მედიის სკოლა, კავკასიის ტექნოლოგიების სკოლა, კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლა, კავკასიის ჰუმანიტარული სკოლა, კავკასიის ტურიზმის სკოლა, კავკასიის ეკონომიკის სკოლა და კავკასიის ჯანდაცვის სკოლა) ყველა რგოლის მმართველობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს უნივერსიტეტისა და სკოლების მართვას, ადმინისტრირებას და სასწავლო პროცესს;

ე) სკოლა (ფაკულტეტი) - კავკასიის ბიზნესის სკოლა, კავკასიის სამართლის სკოლა, კავკასიის მედიის სკოლა, კავკასიის ტექნოლოგიების სკოლა, კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლა, კავკასიის ჰუმანიტარული სკოლა, კავკასიის ტურიზმის სკოლა, კავკასიის ჯანდაცვის სკოლა, კავკასიის ეკონომიკის სკოლა;

ვ) პრეზიდენტი- სტუდენტური თვითმმართველობის უმაღლესი თანამდებობის პირი;

ზ) აღმასრულებელი საბჭო- სტუდენტური თვითმმართველობის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანო;

- თ) სტუდენტური თვითმმართველობის ადმინისტრაცია— სტუდენტური თვითმმართველობის მართვის ორგანოების მაკონტროლებელი ორგანო;
- ი) დეპარტამენტი- კონკრეტულ სფეროში დასახული მიზნების აღსრულებისთვის შექმნილი სტუდენტური თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო;
- კ) დებულება- სტუდენტური ერთობის ძირითადი სამართლებრივი აქტი, რომლითაც განისაზღვრება სტუდენტური ერთობის სტრუქტურა და საქმიანობის წესი;
- ლ) საფაკულტეტო საბჭო- უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის სტუდენტთა წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც შედგება სტუდენტურ თვითმმართველობაში არჩეული წევრებისგან;

## თავი II

### სტუდენტური თვითმმართველობის მიზნები და უფლება-მოვალეობები

#### მუხლი 6.

სტუდენტური თვითმმართველობის მიზნებია:

- ა) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, დაიცვას და წარმოადგინოს სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები როგორც უნივერსიტეტში, ისე მის ფარგლებს გარეთ;
- ბ) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, ხელი შეუწყოს სტუდენტებს უფლებებისა და თავისუფლების პრაქტიკულ რეალიზაციაში;
- გ) დაეხმაროს სტუდენტებს მაღალკვალიფიციური განათლების მიღებაში, თვითრეალიზებასა და დამოუკიდებელი აზროვნების ჩამოყალიბებაში;
- დ) დახმარება გაუწიოს სტუდენტებს სწავლის პერიოდში, პროფესიული უნარ-ჩვევებისა და კონკურენტუნარიან პროფესიონალად ჩამოყალიბებაში;
- ე) ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის ინტეგრაციას ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში და მაქსიმალურად უზრუნველყოს ამ პროცესში სტუდენტთა მონაწილეობა;
- ვ) ხელი შეუწყოს სტუდენტებში სამართლებრივი თვითშეგნების დონისა და კანონისადმი პატივისცემის ამაღლებას, დახმარება გაუწიოს საქართველოში დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებას და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას;
- ზ) შექმნას ოპტიმალური პირობები სტუდენტთა დასვენების, შრომითი მოღვაწეობის ან სხვა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად გაამრავალფეროვნოს სტუდენტური ცხოვრება

## **მუხლი 7.**

სტუდენტური თვითმმართველობა თავის უფლებამოსილების ფარგლებში:

ა) იცავს და წარმოადგენს უნივერსიტეტის სტუდენტთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს; ბ) უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების განხორციელებას;

გ) უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის საფუძველზე კოორდინირებს სასწავლო პროცესთან და მატერიალურ მხარესთან დაკავშირებულ საკითხებს;

დ) პერიოდულად ახდენს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მუშაობის შეფასებას;

ე) გეგმავს, ორგანიზებას უწევს და ახორციელებს სტუდენტთა დასვენების, შრომითი მოღვაწეობისა და სხვა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად შეხვედრებს, დებატებს, დისკუსიებს, ტრენინგებს, ინტელექტუალურ თამაშებს, საგანმანათლებლო-სამეცნიერო, კულტურულ, სპორტულ, გასართობ და კანონით ნებადართულ სხვა სახის ღონისძიებებს;

ვ) თანამშრომლობს სხვა საუნივერსიტეტო, საფაკულტეტო, სამთავრობო და არასამთავრობო, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, აგრეთვე გაერთიანებებთან;

ზ) გააჩნია კავშირი საქართველოს და უცხოეთის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტურ ორგანიზაციებთან და საერთაშორისო სტუდენტურ გაერთიანებებთან;

თ) სტუდენტური თვითმმართველობა მიზნების მისაღწევად ახორციელებს “ უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის წესდებით და ამ დებულებით გაუთვალისწინებელ სხვა უფლებამოსილებებს.

## **მუხლი 8.**

1.სტუდენტური თვითმმართველობის დაფინანსების შესაძლო წყაროებია:

ა) უნივერსიტეტის ბიუჯეტი და სპეც-სახსრებიდან მიღებული შემოსავალი;

ბ) ნებაყოფლობითი შემოწირულობები;

გ) მესამე პირის მიერ გადმოცემული ქონება, რომლის მართვაც ხორციელდება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით;

დ) საწევრო და სხვა კანონით ნებადართული შემოსავლები.

### თავი III

#### სტუდენტური თვითმმართველობის წევრი

##### მუხლი 9.

1. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატი არის საარჩევნო დებულებით დადგენილი წესით სტუდენტურ თვითმმართველობაში არჩეული სტუდენტი. იგი არის თავისი ფაკულტეტის წარმომადგენელი, რომელიც უფლებამოსილებას ახორციელებს პირადად;
2. სტუდენტური თვითმმართველობის წევრი არის კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტი, რომელიც საქმიანობას ახორციელებს სტუდენტური თვითმმართველობის ეგიდით;
3. სტუდენტური თვითმმართველობის წევრად შეიძლება არჩეულ იქნეს მხოლოდ უნივერსიტეტის სტუდენტი, რომელიც იმავდროულად არ იკავებს უნივერსიტეტში რაიმე ადმინისტრაციულ თანამდებობას;

##### მუხლი 10.

სტუდენტური თვითმმართველობის წევრის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება 2 წლით.

##### მუხლი 11.

1. სტუდენტური თვითმმართველობის წევრის უფლებამოსილება იწყება მისი არჩევის მომენტიდან და მთავრდება ახალარჩეული წევრების პირველი შეკრებისთანავე.
2. სტუდენტური თვითმმართველობის წევრის უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტის საფუძველია:
  - ა) პირადი განცხადება;
  - ბ) უნივერსიტეტში ადმინისტრაციული თანამდებობის დაკავება;
  - გ) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა;
  - დ) უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის დებულებით ან სტუდენტური თვითმმართველობის წესდებით გათვალისწინებული წესების დარღვევა;
  - ე) პრეზიდენტთან შეუთანხმებელი ნებისმიერი ის ქმედება, რომელიც ზიანს აყენებს სტუდენტური თვითმმართველობის ინტერესებს ან/და გამოყენებულია პირადი ინტერესებისათვის;

ვ) არასაკაპიტო მიზეზით, სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობაში ზედღიზიანებით ერთი თვის განმავლობაში მონაწილეობის მიუღებლობა;

ზ) სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ, უგზოუკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად გამოცხადება;

თ) გარდაცვალება.

## **მუხლი 12.**

1. სტუდენტური თვითმმართველობის წევრი უფლებამოსილია:

ა) მონაწილეობა მიიღოს სტუდენტური ერთობის მართვის ორგანოების მუშაობაში;

ბ) იქონიოს სათათბირო ხმის უფლება;

გ) აირჩიოს და თავად იყოს არჩეული სტუდენტური თვითმმართველობის მართვის ორგანოებში;

დ) დაიკავოს სტუდენტურ თვითმმართველობის ნებისმიერი თანამდებობა;

ე) დებულებით განსაზღვრული მიზნების განსახორციელებლად წინადადებით მიმართოს სტუდენტური თვითმმართველობის მართვის ორგანოებს;

ვ) მიიღოს მონაწილეობა სტუდენტური თვითმმართველობის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში ან თავად შეიმუშავოს და განახორციელოს ისინი;

ზ) მიიღოს ყოველგვარი ინფორმაცია სტუდენტური თვითმმართველობის ორგანოებიდან მათი საქმიანობის შესახებ;

თ) განახორციელოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და ამ დებულებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებანი.

2. სტუდენტური თვითმმართველობის წევრი ვალდებულია:

ა) შეასრულოს სტუდენტური თვითმმართველობის დებულებით მასზე გათვალისწინებული ვალდებულებები;

ბ) დაიცვას უნივერსიტეტის, ფაკულტეტის და სტუდენტური თვითმმართველობის სახელი, ავტორიტეტი და ქონება;

გ) ხელი შეუწყოს სტუდენტსა და ფაკულტეტის მართვის ორგანოებს შორის ჯანსაღი ურთიერთობების ჩამოყალიბებას;

დ) მიიღოს მონაწილეობა სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობაში;

ე) დაესწროს სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრებებს და აღმასრულებელი საბჭოს სხდომებს;

### **მუხლი 13.**

სტუდენტურ თვითმმართველობას შეიძლება ჰყავდეს „მეგობარი სტუდენტი“, რომელსაც არ გააჩნია სათათბირო ხმის უფლება. „მეგობარი სტუდენტი“ შეიძლება იყოს კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტი და მის წოდებას ანიჭებს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი.

## **თავი IV**

### **სტუდენტური თვითმმართველობის სტრუქტურა**

#### **მუხლი 14.**

სტუდენტური თვითმმართველობის მართვის ორგანოებია:

- ა) სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი;
- ბ) სტუდენტური თვითმმართველობის აპარატი;
- გ) სტუდენტური თვითმმართველობის აღმასრულებელი საბჭო;
- დ) სტუდენტური თვითმმართველობის დეპარტამენტები;
- ე) სტუდენტური თვითმმართველობის საფაკულტეტო საბჭოები;

#### **მუხლი 15.**

1. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი, აპარატი, აღმასრულებელი საბჭო, დეპარტამენტები, სტუდენტური თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოებია;
2. სტუდენტური თვითმმართველობის საფაკულტეტო საბჭოები თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოებია;
3. სტუდენტური თვითმმართველობის ადმინისტრაცია სტუდენტური თვითმმართველობის მართვის ორგანოების მაკონტროლებელი ორგანოა.

## **თავი V**

## სტუდენტური თვითმმართველობის არჩევის წესი

### მუხლი 16.

1. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი ნიშნავს სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების თარიღს არაუგვიანეს 30 დღისა.
2. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის ბრძანების საფუძველზე იქმნება დროებითი საარჩევნო კომისია, რომლის თავმჯდომარე, საარჩევნო კომისიის მდივანი და კომისიის წევრები ინიშნებიან სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის იმავე ბრძანებით.
3. დროებითი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე განსაზღვრავს საარჩევნო უბნების რაოდენობას, გამოსცემს ბრძანებებს და ახორციელებს ყველა იმ ქმედებას რომელიც საჭიროა სტუდენტური თვითმმართველობის აღმასრულებელი საბჭოს არჩევნების ჩასატარებლად.
4. დროებითი საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების შემდგომ უზრუნველყოფს არჩევნებში მონაწილე კანდიდატთა რეგისტრაციას, ბიულეტენების დამზადებას, საარჩევნოს უბნების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით აღჭურვას, უზრუნველყოფს წინასაარჩევნო, საარჩევნო და პოსტ საარჩევნო პერიოდის მიუკერძოებელ, გამჭვირვალე და სამართლიან გარემოში ჩატარებას.
5. დროებითი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე აქვეყნებს არჩევნების შემაჯამებელ ოქმს, რომელსაც ხელს აწერს დროებითი საარჩევნო კომისიის ყველა დამსწრე წევრი და აქვეყნებს არჩევნების დასრულებიდან არაუგვიანეს 24 საათისა.

## თავი VI

### სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი

#### მუხლი 17.

სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი არის სტუდენტური თვითმმართველობის უმაღლესი თანამდებობის პირი, რომელიც თავმჯდომარეობს აღმასრულებელ საბჭოს, უძღვება სხდომებს და წარმოადგენს სტუდენტურ თვითმმართველობას მესამე პირებთან ურთიერთობებში.

#### მუხლი 18.

1. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი აირჩევა აღმასრულებელი საბჭოს მიერ
2. წლის ვადით სრული შემადგენლობის უმრავლესობით, ფარული კენჭისყრის საფუძველზე.



2. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის კანდიდატურის დაყენების უფლება აქვს სტუდენტური თვითმმართველობის აღმასრულებელი საბჭოს წევრებს.

3. ფორსმაჯორული სიტუაციის შემთხვევაში პრეზიდენტი უფლებამოსილია სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები გადადოს არაუგვიანეს 6 თვის ვადით.

### **მუხლი 19.**

1. იმ შემთხვევაში, თუ ვერცერთმა კანდიდატმა ვერ დააგროვა არჩევისთვის ხმათა საკმარისი რაოდენობა, იმავე დღეს ინიშნება მეორე ტური, რომელშიც კენჭი ეყრება ორ საუკეთესო შედეგების მქონე კანდიდატს.

2. იმ შემთხვევაში, თუ მეორე ტურშიც ვერცერთმა კანდიდატმა ვერ დააგროვა არჩევისთვის ხმათა საკმარისი რაოდენობა, ხუთი დღის ვადაში ტარდება ხელახალი არჩევნები.

3. იმ შემთხვევაში, თუ არჩევნებში მონაწილეობს ერთი კანდიდატი, რომელიც ვერ დააგროვებს არჩევისთვის ხმათა საკმარის რაოდენობას, 5 დღის ვადაში ტარდება ხელახალი არჩევნები.

### **მუხლი 20.**

სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი შეიძლება იყოს სტუდენტურ თვითმმართველობაში არჩეული წევრი, რომელიც არის საქართველოს მოქალაქე, ქმედუნარიანი, არ იკავებს უნივერსიტეტში და ფაკულტეტზე რაიმე ადმინისტრაციულ თანამდებობას, არ არის ნასამართლევი.

### **მუხლი 21.**

1. სტუდენტური თვითმმართველობის უფლებამოსილება იწყება მისი არჩევის მომენტიდან და წყდება ახალი პრეზიდენტის არჩევისთანავე.

2. ახალი პრეზიდენტის არჩევისთანავე წინა მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის ყველა ორგანოსა და თანამდებობის პირს უწყდება უფლებამოსილება

### **მუხლი 22.**

1. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტის საფუძველია:

- ა) პირადი განცხადება;
- ბ) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა;
- გ) მოქალაქეობის დაკარგვა;
- დ) იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენება;
- ე) სასამართლოს მიერ ქმედუხნაროდ, უზოუკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად გამოცხადება;

გარდაცვალება

2. პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, მის ადგილს იკავებს ვიცე-პრეზიდენტი.

### **მუხლი 23.**

საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის წესდების ან/და ამ დებულების უხეში დარღვევის შემთხვევაში, სტუდენტური თვითმმართველობის წევრთა არანაკლებ 1/2-ს შეუძლია დაიწყოს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურა და დარღვევის ფაქტები გადაუგზავნოს თვითმმართველობის აღმასრულებელ საბჭოს. აღმასრულებელი საბჭო 10 დღის ვადაში იკვლევს ფაქტებს, დარღვევის დადასტურების შემთხვევაში, 5 დღის ვადაში მოიწვევს სხდომას, რომელიც კენჭს უყრის პრეზიდენტის გადაყენების საკითხს. პრეზიდენტი გადაყენებულად ჩაითვლება თუ საკითხს მხარს დაუჭერს დარბაზის შემადგენლობის არანაკლებ 2/3.

### **მუხლი 24.**

სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი:

- ა) ხელმძღვანელობს სტუდენტურ თვითმმართველობას;
- ბ) თავმჯდომარეობს აღმასრულებელ საბჭოს;
- გ) დებულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში იწვევს საგანგებო სხდომას;
- დ) უძღვება სხდომას;
- ე) წარმოადგენს სტუდენტურ თვითმმართველობის უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხელმძღვანელი ორგანოებსა და მესამე პირებთან ურთიერთობებში;
- ვ) სტუდენტური თვითმმართველობის სახელით ხელს აწერს ოფიციალურ დოკუმენტებს;
- ზ) ხელს აწერს აღმასრულებელი საბჭოს სამართლებრივ აქტებს;

- თ) ნიშნავს სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების თარიღს მოქმედი თვითმმართველობის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე არაუგვიანეს ერთი თვისა;
- ი) უფლებამოსილია, პირადი გასაუბრების საფუძველზე დანიშნოს სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატის მოვალეობის შემსრულებელი იმ შემთხვევაში, თუ ნებისმიერი საფუძვლით ვადის გასვლამდე გათავისუფლებულ იქნა საარჩევნო დებულებით დადგენილი წესით არჩეული დელეგატი;
- კ) კოორდინაციას უწევს სტუდენტური თვითმმართველობის ორგანოთა საქმიანობას;
- ლ) ამტკიცებს აღმასრულებელი საბჭოს მიერ შემუშავებულ სტუდენტური თვითმმართველობის გეგმას;
- მ) ხელს აწერს ადმინისტრაციის დასკვნას სტუდენტური თვითმმართველობის წერისთვის უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტის თაობაზე;
- ნ) უფლებამოსილია გადააყენოს ვიცე-პრეზიდენტები და პრეზიდენტის მიერ დანიშნული სხვა პირები დაკავებული თანამდებობიდან;
- ო) სათანადო საფუძვლების არსებობის შემთხვევაში აღმასრულებელ საბჭოსთან შეთანხმებით ათავისუფლებს დეპარტამენტების ხელმძღვანელებს;
- პ) განსაკუთრებულ შემთხვევებში, კონკრეტული საკითხების გადასაჭრელად ქმნის კომისიებს, რომლის წევრებსა და თავმჯდომარეებს მისი წარდგინებით ამტკიცებს აღმასრულებელი საბჭო;
- ჟ) თავის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით იღებს განკარგულებებს;
- რ) ახორციელებს ამ დებულებით გაუთვალისწინებელ სხვა უფლებამოსილებებს, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას ან/და სტუდენტური თვითმმართველობის დებულებას.

## **მუხლი 25.**

სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი ვალდებულია:

- ა) ყოველი სემესტრის ბოლოს საბჭოს წარუდგენს ანგარიშს სტუდენტური თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის შესახებ;
- ბ) დაიცვას სტუდენტური თვითმმართველობის წევრებისათვის აუცილებელი მოთხოვნები.

## **მუხლი 26.**

უფლებამოსილების უკეთ განხორციელების ხელშეწყობის მიზნით სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტს ჰყავს ორი ვიცე-პრეზიდენტი.

1. ვიცე-პრეზიდენტი – ხელს უწყობს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის უფლებამოსილების განხორციელებას დეპარტამენტების და ფაკულტეტების დონეზე. პრეზიდენტის თანხმობის შემთხვევაში ვიცე-პრეზიდენტს უფლება აქვს სტუდენტური თვითმმართველობის სახელით ხელი მოაწეროს და გააფორმოს ოფიციალური ფინანსური და იურიდიული დოკუმენტები.

2. სტუდენტური თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტებს ნიშნავს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი.

## **თავი VII**

### **სტუდენტური თვითმმართველობის აპარატი**

## **მუხლი 27.**

1. სტუდენტური თვითმმართველობის აპარატის კომპეტენციაა – პრეზიდენტის და ვიცე-პრეზიდენტების სამსახურეობრივი დავალებების შესრულება და დანიშნულებისამებრ მათი მიწოდება. პრეზიდენტის მიერ დანიშნული თათბირების და შეკრებების ორგანიზაციული უზრუნველყოფა. თვითმმართველობის კანცელარიის წარმოება.

2. თვითმმართველობაში მიმდინარე პროცესებისა და გაწეული საქმიანობის ანგარიშის გაცნობა; თვითმმართველობის ინფორმაციული უზრუნველყოფა; თვითმმართველობის კომპეტენციის ფარგლებში სტუდენტური აზრის შესწავლა.

3. აგრეთვე:

ა) თვითმმართველობის მიმდინარე დოკუმენტაციის წარმოება;

ბ) დოკუმენტური არქივის აღნუსხვა;

გ) ოფიციალური ხასიათის ცნობების გაცემა;

4. აპარატის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი.

5. საქმიანობის უკეთ განხორციელების მიზნით აპარატის უფროსს ჰყავს მოადგილე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს აპარატის უფროსი პრეზიდენტთან შეთანხმებით.

## თავი VIII

### სტუდენტური თვითმმართველობის აღმასრულებელი საბჭო

#### მუხლი 28.

სტუდენტური თვითმმართველობის აღმასრულებელი საბჭო არის სტუდენტური თვითმმართველობის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანო, რომლის შემადგენლობაში შედის: პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტები და არჩეული დელეგატები.

#### მუხლი 29.

1. სტუდენტური თვითმმართველობის აღმასრულებელი საბჭო უნდა შეიკრიბოს კვირაში ერთხელ, შაბათ დღეს, 17:00 საათზე.
2. პრეზიდენტს შეუძლია სტუდენტური თვითმმართველობის აღმასრულებელი საბჭო რიგგარეშე სხდომის საკუთარი ინიციატივით მოწვევა.
3. სტუდენტური თვითმმართველობის აღმასრულებელი საბჭო უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3.
4. სტუდენტური თვითმმართველობის აღმასრულებელი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს დამსწრეთა შემადგენლობის უმრავლესობით.

#### მუხლი 30.

აღმასრულებელი საბჭო:

- ა) შეიმუშავებს სტუდენტური თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოთა საქმიანობის პოლიტიკას;

ბ) წარუდგენს წინადადების კონკრეტულ დეპარტამენტებს მათი მუშაობის გაუმჯობესების თაობაზე;

გ) შეიმუშავებს სტუდენტური თვითმმართველობის სამოქმედო გეგმას;

დ) განიხილავს პროექტებსა და მათი დაფინანსების საკითხს;

ე) განიხილავს ცალკეულ სტუდენტთა წინადადებებსა და მათი დაფინანსების საკითხს;

ვ) წარუდგენს ანგარიშს პრეზიდენტს სტუდენტური თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის შესახებ;

ზ) ახორციელებს ამ დებულებით გაუთვალისწინებელ სხვა უფლებამოსილებებს, რომლებიც არ ეწინააღმდეგება ამ დებულებას.

### **მუხლი 31.**

1. სტუდენტური თვითმმართველობის აღმასრულებელი საბჭო თავის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით იღებს დადგენილებებს, რომლებსაც ხელს აწერს პრეზიდენტი.

## **თავი IX**

### **სტუდენტური თვითმმართველობის დეპარტამენტი**

### **მუხლი 32.**

სტუდენტური თვითმმართველობის დეპარტამენტი არის კონკრეტულ სფეროში დასახული მიზნების აღსრულებისათვის შექმნილი სტუდენტური ერთობის აღმასრულებელი ორგანო.

### **მუხლი 33.**

1. დეპარტამენტი შედგება დეპარტამენტის ხელმძღვანელის, (აუცილებელ შემთხვევაში მოადგილის) და კოორდინატორებისგან, რომლებიც ახორციელებენ დეპარტამენტის მართვას და რომელთაც დეპარტამენტში სათათბირო ხმის უფლება გააჩნიათ, აგრეთვე, შესაძლოა სხვა სტუდენტებისგან, რომლებიც არ წარმოადგენენ სტუდენტური ერთობის წევრებს.

2. დეპარტამენტის ხელმძღვანელს ნიშნავს და ათავისუფლებს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი აღმასრულებელ საბჭოსთან შეთანხმებით.

3. დეპარტამენტი უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

4. დეპარტამენტი გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრეთა შემადგენლობის უმრავლესობით.

#### **მუხლი 34.**

1. სტუდენტური თვითმმართველობის დეპარტამენტის სხდომა ტარდება კვირაში ერთხელ და მას უძღვება დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი არყოფნის შემთხვევაში კი მოადგილე (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

2. დეპარტამენტის რიგგარეშე სხდომას მოიწვევს:

ა) დეპარტამენტის ხელმძღვანელი თავისი ინიციატივით;

ბ) სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი ან მასთან შეთანხმებით ორი ვიცე პრეზიდენტი.

3. სტუდენტური თვითმმართველობის დეპარტამენტთა ხელმძღვანელები აღმასრულებელ საბჭოსთან ერთად უნდა შეიკრიბონ კვირაში ერთხელ, შაბათ დღეს, 17:00 საათზე.

#### **მუხლი 35.**

სტუდენტური თვითმმართველობის დასახული მიზნების აღსრულებისთვის შექმნილია სამი დეპარტამენტი:

2) განათლებისა და კულტურის დეპარტამენტი;

2) სპორტის დეპარტამენტი;

3) ტურიზმის დეპარტამენტი;

#### **მუხლი 36.**

განათლებისა და კულტურის დეპარტამენტი გეგმავს და აწყობს დებატებს, დისკუსიებს, ტრენინგებს, ინტელექტუალურ თამაშებს, კოორდინირებს სასწავლო საგანმანათლებლო

პროცესს და პერიოდულად ახდენს სასწავლო პროცესის შეფასებას; აწყობს თეატრალურ, კულტურულ, შემოქმედებით და სხვა კულტურულ ღონისძიებებს, შეხვედრებს სტუდენტური საზოგადოებისთვის სასურველ პიროვნებებთან.

### **მუხლი 37.**

სპორტისა და ტურიზმის დეპარტამენტი აწყობს შეჯიბრებებს, ჩემპიონატებს სპორტის სხვადასხვა სახეობებში, ასევე ორგანიზებას უკეთებს ლაშქრობებს, ექსკურსიებს, სტუდენტთა დასვენებისა და განტვირთვისათვის საჭირო სარელაქსაციო ღონისძიებებს.

თანამშრომლობს ცალკეულ სპორტისა და ტურიზმის სახეობათა ფედერაციებთან და ახორციელებს სხვა ნებადართულ საქმიანობას.

## **თავი X**

### **საფაკულტეტო საბჭო**

### **მუხლი 38.**

1. სტუდენტური თვითმმართველობის საფაკულტეტო საბჭო არის სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც შედგება ამ ფაკულტეტიდან სტუდენტურ თვითმმართველობაში არჩეული ყველა წევრისგან;
2. სტუდენტური თვითმმართველობის საფაკულტეტო საბჭოს ხელმძღვანელობენ სტუდენტური თვითმმართველობის შესაბამისი ფაკულტეტის დელეგატები;



3. სტუდენტური თვითმმართველობის წევრები ვალდებული არიან, დაესწრონ საფაკულტეტო საბჭოს კრებას. არასაპატიო მიზეზით კრების სამჯერ გაცდენა წარმოადგენს მათი გარიცხვის საფუძველს;

## თავი XI

### გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

#### მუხლი 39.

1. წინამდებარე დებულება ძალაში შევიდეს სტუდენტური ერთობის პრეზიდენტის მიერ ხელის მოწერისთანავე.
2. ამ დებულების მიღებით გაუქმდეს სტუდენტური თვითმმართველობის 2015 წლის 24 ივლისის დებულება.
3. დაევალოს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტსა და აღმასრულებელი საბჭოს სტუდენტური თვითმმართველობის ორგანოთა დაკომპლექტება არჩევნების შედეგების გამოცხადებიდან 2 კვირის ვადაში.



სტუდენტური თვითმმართველობის

პრეზიდენტი:

ლაშა ჩითინაშვილი:

14/03/2019

